 ბელსა ზღ და იძრნეს განსამწარებელით ¹⁾ და მოვიდეს ელიმად: და
 ი ელიმის იყო ათორმეტი წყაროჲ წველისა, და სამეოც და ათი ძირი და-
 ი ნაკის კუდი, და დაიბანაკეს მუნ წყალთა მათ ზედა ზღ და იძრნეს ელი-
 ი მით, და დაიბანაკეს ზღუასა ზედა მეწამულსა ზღ და იძრნეს. ზღვით
 იბ მეწამულით, და ²⁾ დაიბანაკეს უდაბნოსა ზინისასა ზღ და იძრნეს უდა-
 იბ ბნოთ სინაჲთ, და დაიბანაკეს რაფეკს ზღ და იძრნეს რაფეკით, დაიბა-
 იდ ნაკეს ელუსს ზღ და იძრნეს ელუსით და ³⁾ დაიბანაკეს ჰრაფიდინს, და არა
 იუ იყო მუნ წყალი სასძელად ერისა მისთჳს ზღ და იძრნეს რაფიდინით
 ივ და ⁴⁾ დაიბანაკეს უდაბნოსა სინას ზღ და ⁵⁾ იძრნეს უდაბნოთ სინით;
 იზ და დაიბანაკეს სამარეგბს გულის სათქმელსა ზღ და იძრნეს სამარეგბით.
 იწ გულის სათქმელისათ და დაიბანაკეს ასიროთს ზღ და იძრნეს ასერო-
 ითით, და დაიბანაკეს ჰრათამას ზღ და იძრნეს ჰრათამით; და დაიბანაკეს
 კ ჰრეგბონ ფარეს ზღ და იძრნეს ჰრეგბონ ფარაჲთ, და დაიბანაკეს ლებო-
 კაკბ ნას ზღ და იძრნეს ლებონით, და დაიბანაკეს რესას ზღ და იძრნეს რე-
 კბ საჲთ, და დაიბანაკეს მაკელათს ზღ და იძრნეს მაკელათით, და დაიბა-
 კდ ნაკეს არსაფარს ზღ და იძრნეს არსაფარით მითით, და დაიბანაკეს ქარ-
 კეკბ დათს ზღ და იძრნეს ქარათით, და დაიბანაკეს მაკადოთს ზღ და იძრნეს
 კხ მაკადოთით, და დაიბანაკეს კატათათს ზღ და იძრნეს კატათათით, და
 კც დაიბანაკეს თარათს ზღ და იძრნეს თარათით, და დაიბანაკეს მათეკას ზღ

¹⁾ ბ მოხე ეჲ.—²⁾ ბ მოხე იჲ.—³⁾ ბ მოხე აზ.—⁴⁾ ბ მოხე ია.—⁵⁾ ზე
 მო ია და ივ.

და იძრნეს მათეკით, და დაიბანაკეს ასემონს და ¹⁾ იძრნეს ასემონით,
 და დაიბანაკეს მასურუთს და იძრნეს მასურუთით, და დაიბანაკეს
 ბანაკამს და იძრნეს ბანაკამით, და დაიბანაკეს მთასა გადგადსა და
 იძრნეს მთით გადგადით, და დაიბანაკეს იუტაბათსა და იძრნეს
 იუტაბათით, და დაიბანაკეს ებრანოს და იძრნეს ებრონით, და და-
 ბანაკეს გესეონ გებერს და იძრნეს გესეონ გებერით, და დაიბან-
 კეს უდაბნოსა სინას. და იძრნეს უდაბნოსაგან სინასა, და დაიბანაკეს
 უდაბნოსა ფარანს, რომელი არს კადესა და ²⁾ იძრნეს კადეთით,
 და დაიბანაკეს ორს მთასა, მასლობელად ქუჭყანასა ედომისსა და ³⁾
 აღვიდა აჭრონ მდდელი მთასა მას ორს ბრძანებთა უფლისათა, და
 მოკრდა მუნ, მეორმოცეჲს წელსა გამოსლჳასა ძეთა ისრაელინათა
 ქუჭყანით ეგვჯტით, თუჭსა მესუთესა, ერთსა თჳსასა და აჭრონ
 იყო ას ოც და სამ წლისა რაჲმს მოკრდა ორს მთასა ზედა და ⁴⁾
 ესმა ქანანს მეფესა არადისასა, და იგი დაძმენებულ იყო ბღუარით
 კერძო ქუჭყანასა ქანანიისასა, რაჲმს შევიდოდეს ძენი ისრაელი-
 სანი და იძრნეს მთით ორით, და დაიბანაკეს სელმონას და იძ-
 რნეს სელმონით, და დაიბანაკეს ფინონს და ⁵⁾ იძრნეს ფინონით,
 და დაიბანაკეს აბოთს და იძრნეს აბოთით, და დაიბანაკეს გეის წი-
 აღთა საზღვართა ზედა მოაბისთა და იძრნეს გეისით, და დაიბან-
 კეს დებონგადს და იძრნეს დებონგადით, და დაიბანაკეს გელმონს
 დაბლათას და იძრნეს გელმონ დაბლათით, და დაიბანაკეს მთასა
 ზედა აბარიძისსა მართლნაბავს და იძრნეს მთით აბარიძით, და და-
 ბანაკეს დასავლით კერძო მოაბისა იორდანესა ზედა იერიქით კე-
 რძო და იძრნეს დასავლით მოაბისგან, და დაიბანაკეს იორდანესა
 ზედა, სამუხალ ესიმოთსა ბელსათთიმისა, რომელ არს დასავალით
 მოაბისა და ეტყოდა უფალი მოსეს დასავლით მოაბისა, იორდა-
 ნესა ზედა იერიქით კერძო, და ჰრქუა და ეტყოდე ძეთა ისრაელინა-
 თა, და არქუ მათ, თქუენ წიადსჳალთ იორდანესა ქუჭყანად ქანანი-
 სა და წარწემიდნეთ ეოველნი დამკვდრებულნი ქუჭყანასა მს ჰი-

კო,ლ
 ლა
 ლბ
 ლგ
 ლდ
 ლე
 ლვ
 ლზ
 ლწ
 ლთ
 მ
 მა,მბ
 მგ
 მდ
 მე
 მვ
 მზ
 მწ
 მთ
 მნ

¹⁾ ე მოსე ი. — ²⁾ ზემო ე. — ³⁾ ზემო ე. ზ მოსე იგ. — ⁴⁾ ზემო ლა.
⁵⁾ ზემო. კა.

რისაგან თქუწნისა, & მოსპოთ უოველი ბაკინუბი მათი, & უოველი კერპები მათი დასსმულები მათი წარსწემიდოთ, & უოველი ძეგლები მათი მოსპოთ * & ¹⁾ წარსწემიდნეთ უოველნი ძეგდრნი მის ქუწყანისანი, & დაემენეთ მას შინა, რამეთუ თქუწნ მიგეც ქუწყანა იგი მათი, & ნაწილად * & დაიმკვდრეთ ქუწყანა მათი, ნაწილად ნათესავად ნათესავად თქუწნდა, უმრავლესთა განუმრავლოთ სამკვრებელი მათი, & უმცირესთა დაუმციროთ სამკვდრებელი მათი; & ვიდრემდის აღმოკდეს სასელი მათი, მუნ იუოს, ნაწილი მათი; ნათესავად ნათესავად ტომთა თქუწნთა დაიმკვდრონ * უკეთუ არს წარსწემიდნეთ ძეგდრნი იგი მის ქუწყანისანი ჰირისაგან თქუწნისა, იუენენ რომელნი იგი დაუტევნეთ მათგანნი, ბოროტ ჩნდენ თუალთა თქუწნთა, & ისარ გუწრდთა თქუწნთა, & გემტერნენ თქუწნ ქუწყანასა ზება, რომელსა ძეგდრ იუენეთ * & იუოს ვითარ ჯერ უხნდესთ მათ უოფად, იგი ციუონ თქუწნ.

თ ა მ ი ლ.

და ეტყოდა უფალი მოსეს, & ჳრქუა * ამცენ შეთა ისრაელი-სათა, ეტყოდე მათ, & არქუ, თქუწნ შესვალთ ქუწყანად ქანაანისა, იგი იუოს სამკვდრებელად თქუწნდა, ქუწყანა ქანაანისა საზღუარითურთ მათით * & ¹⁾ იუოს თქუწნდა კერძო იგი, რომელ არს ბღუარით კერძო უდაბნოთგან ზინათ მახლობელამდე ედომისა; & იუენენ საზღუარნი თქუწნნი ბღუარითნი, ზღუთ კერძო მარტლოვანით აღმოსავლით კერძო * & გარე მოკესსენ საზღუარნი ბღუარით აღმოსავალსა აკუბინისასა, & გარე წარმოკლოს ენაგი, & იუოს გამოსავალი მისი ბღუარით კერძო ყადეს ბაზრესა; & მიიწიოს ბანაკსა არადოვსა & გარე წარკლოს ასელმენაჲ * & გარე შევლოს საზღუარმან ასელმონათ, საზღუარი ეგვტისა, & იუოს გამოსავალი მისი ზღუაჲ * & საზღუარნი ზღუსანი იუენენ თქუწნდა, საზღუარნი დიდი, ზღუსა იუოს თქუწნდა სამზღუარ ზღუსა * & ესე იუენენ თქუწნდა საზღუარნი ჩრდილოსანი, ზღუთ დიდითგან, მოიხომოთ თქუწნ მთის ჰირითგან მთამდე * & მთისაგან მათისა მღიხომოთ

1) ა მოსე ჳ. ისო ნაკე ას.—2) ისო ნაკე იუ.

თქვენ შესავალადვე ემათისა, ზე იუოს გამოსავალი მისი საზღუა-
 რთა სარადისათა ❖ ზე განვლეს საზღუარნი ზეფრონასნი, ზე იუოს თ
 გამოსავალი მისი ასერანს, ესე იუოს თქვენდა საზღვრად ჩრდი-
 ლოჲ ❖ ზე დაიზომნეთ საზღუარნი თქვენდა აღმოსავლით კერძო,
 ასერინათ სეფამდე ❖ ზე შთავლოს საზღუარმან სენაფამად ბეთად აღ-
 მოსავლით წუაროთ კერძო, ზე გამოვიდეს საზღუარნი ბეთაისნი, ზე
 გამოვიდეს ზურგსა ზედა ზღვისა ქენერეთისასა აღმოსავლით ❖ ზე იბ
 შთავიდეს საზღუარნი იორდანედ კერძო, ზე იუოს გამოსავალი მისი
 ზღუად მარილოვანი, ესე იუოს თქვენდა ქუჭყანა, ზე საზღუარნი
 მისნი გარემოს ❖ ზე ამცნო მოსე ძეთა ისრაელისათა, ზე ჰრქუა¹⁾ იგ
 ესე არს ქუჭყანა იგი რომელ დაიმკვდრათ წილითა, ვითარცა ბრძა-
 ნა უფალმან მიცემად იგი, ცნრათა ნათესავთა, ზე ზოგსა ნათესავსა
 მანასესსა ❖ ზე მიიღო ნათესავმან ძეთა რუბენისთამან, ზე ნათესავმან
 ძეთა გადისთამან სახლად სახლად ტომთა მათთა, ზე ზოგმან ტომმან
 მანასესმან მიიღეს ნაწილი მათი ❖ ორთჳ ტომთა ზე ნახევართ ტო-
 მთა მოიღეს ნაწილი თჳსი წიად რორდანესა იერიქოთ კერძო მუა-
 დლით აღმოსავალსა ❖ ზე ეტეოდან უფალი მოსესს, ზე ჰრქუა ❖ ესე იფ.იზ
 არს სახელები კაცთა მათ, რომელთა განვიწილონ თქვენ ქუჭყანა
 იგი, ვლიაზარ მდდელმან, ზე ისუ ნავემან ❖ ზე მთავარი ერთი ნათე-
 სავისაცან მოიყვანოთ განსილვად თქვენდა ქუჭყანისა მის ❖ ზე ესე იტ
 არს სახელები კაცთა მათ: ნათესავი იუდასი, ქალებუ ძე იეფონესი ❖
 ნათესავი სუმეონისი: სალამიელ ძე სემიუდისი ❖ ნათესავი ბენი-
 მენისი, ვლიად ძე ქესლონისი ❖ ნათესავი დანისი, მთავარი ბოკი, ძე
 იეკლინისი ❖ ძეთა იოსებისთა, ნათესავთა ძეთა მანასესთა, მთავარი
 ანელ, ძე ეფოდისი ❖ ნათესავი ძეთა ეფრემისთა მთავარი კამოელ,
 ძე საბთანისი ❖ ნათესავი ზაბულონისი, მთავარი ელისაფან, ძე
 ფარნაქისი ❖ ნათესავი ძეთა ისაქარისთა მთავარი ფალიტელ, ძე
 ოზასი ❖ ნათესავი ძეთა ასერისთა, მთავარი აქიერ, ძე სელიმისი ❖
 ნათესავი ნეფთალიმისი, მთავარი ფადაელ, ძე ამიუდასი: ამათ ამცნო
 უფალმან, განყოფად ძეთა ისრაელისათა ქუჭყანასა ქანანისასა.

1) ისრა. ნავე. იდ. საქმე. იე.

თ ა ვ ი ლე.

და ეტეოდა უფალი მოსეს, დასავლით კერძო მოაბისა იორ-
 დანისა თანა, წიად იერიქოსა და ჰრქუა ¹⁾ ამცენ ძეთა ისრაელი-
 სათა, და მისცენ ლევიტელთა ნაწილი სამკვდრებელისაგან მათისა
 ქალაქები საყოფელად, და აგარაკები ქალაქებისა გარემოს მათსა მი-
 სცენ ლევიტელთა და იუენენ ქალაქნი იგი საყოფელად მათდა, და
 ნაწილნი მათნი იუენენ და ჰირუტევთა ოთხ ფერეთა მათთათუს და
 საბრძანებელი ქალაქთა რომელ მისცეთ ლევიტელთა, ზღუდითგან
 ქალაქისათ გარემოს, და გარეშე ქალაქისა აღმოსავალით კერძო ორ
 ათას წურთა და განზომეთ კერძო გარე ქალაქისა, რომელი არს
 აღმოსავალით ორი ათასი წურთა, და კერძო რომელი არს სამხრად
 მიმართ ორი ათასი წურთა, და კერძო რომელ არს ზღუს მიმართ,
 ორი ათასი წურთა, და კერძო რომელ არს ჩრდილოთ მიმართ, ორი
 ათასი წურთა, და ქალაქნი სამუელ მათთა იყოს თქუენდა, და სახ-
 ლუარნი ქალაქთანი ²⁾ და ქალაქნი რომელ მისცნეთ ლევიტელთა,
 ექუსნი ქალაქნი, შესალტოლველად მუნ კაცის მეჭლელისა, და მათ
 თანა ორმოც და ორნი ქალაქნი და უოველი ქალაქები რომელ მის-
 ცნეთ ლევიტელთა ორმოც და რვა ქალაქნი, და დაბნები მათნი და
 ქალაქები რომელ სცნეთ სამკვდრებელისაგან ძეთა ისრაელისათასა,
 უდიდესთაგან დიდი, და უმცირესთაგან მცირედი, თუთეულთა მსგავ-
 სად სამკვდრებელისა თვისისა, რომელი დაიმკვდრონ, მისცენ ქალა-
 ქთა მათგანი ლევიტელთა და ეტეოდა უფალი მოსეს, და ჰრქუა ³⁾
 ეტეოდე ძეთა ისრაელისათა, და არქუ მათ: თქუენ წიაღხვალთ იორ-
 დანესა ქუჭყანად ქანანისა და განჰუენეთ თქუენ ქალაქნი: შესა-
 ვდრებულად იუენენ თქუენდა, მივალტოლვად მუნ კაცის მეჭლელი-
 სა: უოველმან რომელმან მოჰკლას კაცი არა ნებსით და იუენედ
 თქუენდა ქალაქნი შესავდრებელნი ნათესავისა მისგან, სისხლისა
 მეძიებელისა, და არა მოკუდეს მომეჭლელი იგი, ვიდრემდე დადგეს
 წინაშე კრებულისა სამჯელად და ქალაქნი იგი რომელნი მისცნეთ,
 ექუსნი ქალაქნი შესავდრებულად იყავნ თქუენდა და სამნი ქალაქნი

1) ისო ნავე კა.—2) ე მოსე დ. ისო ნავე კა.—3) ე მოსე ით. ისო ნავე კა

მოსცნეთ წილ იორდანესა, ჰ სამნი ქალაქნი მოსცნეთ ქუჭუნასა
 ქანანისასა ❖ შესაღოლოველად იუშნეთ ძეთა ისრაელისათა, ჰ მწი-
 რსა ჰ დამკვდრებულისა თქუწნ შორის იუშნენ ქალაქნი ესე შესა-
 ვედრებულად, მივლტოლავად მუნ, რომელმან მოჰკლას კაცი არა ნე-
 ბსით ❖ უკეთუ ჭურჭლითა რკინისათა სცეს მას ჰ მოჰუდეს, კაცის
 მკვლელი არს, სიუშდილითა მოჰუწდინ კაცის მკვლელი იგი ❖ უკე-
 თუ ქვითა კვლისაგან რომლითა იგი სცეს, ჰ მოჰუდეს, კაცის
 მკვლელი არს, სიუშდილითა მოჰუწდინ კაცის მკვლელი იგი ❖ უკე-
 თუ საჭურჭელითა ძელისათა კვლისაგან მისისა მოჰუდეს, რომ-
 ლითა სცა მას, ჰ მოჰუდეს იგი, კაცის მკვლელი არს, სიუშდილით
 მოჰუდეს კაცის მკვლელი იგი ❖ ნათესავმან სისხლისმან მოჰკლას
 კაცის მკვლელი იგი, რაჟამს შეემთხვოს მას, ჰ მან მოჰკლას იგი ❖
 უკეთუ მტერობითა უჭენოს მას, კინა შეტყორცნოს მას ყოველი
 ჭურჭელი მზირობით, ჰ მოჰუდეს ❖ გინათუ ძურის მოკსენებით
 სცა მას კვლითა, ჰ მოჰუდეს, სიუშდილითა მოჰუწდინ მომკვლელი
 იგი, ნათესავმან მის სისხლისმან მოჰკლას კაცის მკვლელი იგი,
 რაჟამს შეემთხვოს მას ❖ უკეთუ მას უკუწ ანაზღად ჰ არა მტერობით
 უჭენა, გინათუ მიაგლო მის ზედა, ყოველივე საჭურჭელი, არა მზი-
 რობით ❖ გინათუ ყოვლითა ქვითა, რომლითაცა მოჰუდეს არა ნე-
 ბსით, ჰ დაეცეს მას ზედა, ჰ მოჰუდეს ჰ იგი არა მტერ მისა იყო,
 არცა მეძიებელ ბორტის ყოფად მისა ❖ ჰ განიკითხოს კრებულმან
 მან შორის მომკვლელისა მის, ჰ შორის მეძიებელისა მის სისხ-
 ლისა, საძველისა ამის ებრ ❖ ჰ განარინოს კრებულმან მან კაცის
 მკვლელი იგი შურის მეძიებელისა მისგან სისხლისა, ჰ მისცეს
 კრებულმან მან ქალაქსა მას შესავედრებულსა, ვიდრე იგი შევედ-
 როს ჰ დამკვდროს მუნ, ვიდრემდე მოჰუდეს მღვლელი იგი დიდი,
 რომელსა სცხეს ზეთითა წმინდითა ❖ უკეთუ გამოსვლით გამოვი-
 დეს კაცის მკვლელი იგი გარემე საზღუარსა ქალაქისასა, სადა იგი
 მივლტოლავილ იყო მუნ ❖ ჰ ჰოოს იგი მეძიებულმან მის სისხ-
 ლისმან, გარემე საზღუართა მის ქალაქისათა შესავედრებულსა, სა-
 და იგი შევედრებულ იყო, ჰ მოჰკლას შურის მეძიებულმან მის

იე
 ივ
 იზ
 იტ
 კ
 კა
 კბ
 კგ
 კდ
 კე
 კვ
 კზ

კ^ტ სისხლისმან, კაცის შველელი იგი, არა თანამდებ იუოს ✠ რამეთუ
 ქალაქს მას შესავედრებელსა დაემკვიდრენ, ვიდრემდის მოკუტდეს
 მღვდელი იგი დიდი, ღ შუადგომად სიკუდილისა მღვდელისა მის დი-
 დისა, მიიქეცინ კაცის მკულეელი იგი ქუტყანასა მას სამკუდრებელი-
 კ^თ სსა თვისისასა ✠ ¹⁾ იუაფნ ესე თქუტნდა სამართლად სამჯელისა, ნა-
 თესავთა შორის თქუტნთა, ეოველთავე სამკუდრებელთა თქუტნთა ✠
 ლ ეოველი მკულეელი კაცისა, მოწამეთა მიერ მოჰკლას მკულეელი იგი:
 ლ^ბ ღ მოწამე ერთი არა იუოს მწამებელ მოკლვასა მას კაცისასა ✠ ღ
 არა მოიდო საესარი სულისა თვს მომკვლეელისა მისგან, რომელი
 ლ^ბ თანამდებ იუოს სიკუდილისა, არამედ სიკუდილითა მოკუტდინ ✠
 ლ^ბ არცა მოიდოთ საესარი, მიღტოლვას ქალაქსა მას შესავედრებუ-
 ლსა, რათა კვალად არა დაემკუდროს ქუტყანასა ზედა, ვიდრემდე
 ლ^ვ მოკუტდეს მღვდელი იგი დიდი ✠ ღ არა მოჰკლათ ქუტყანა რომელსა
 ზედა თქუტნ მკუდრობთ, რამეთუ სისხლმან მოსრას ქუტყანა, ღ
 არა ელხინოს ქუტყანასა სისხლისა მისგან დათხეულისა მას ზედა,
 ლ^დ არამედ სისხლსა მას ზედა დამთხეველისასა ✠ ღ არა შეავნოთ
 ქუტყანა რომელსა ზედა დამკუდრებულ სართ თქუტნ, რომელსა ზე-
 და მე დავიმკუდრო თქუტნ შორის, რამეთუ მე ვარ უფალი, რომე-
 ლი დაემკუდრო შორის ძეთა ისრაელისათა.

თ. ა. 3. ი. ლ. 3.

მ^ა მოუკდეს მთავარნი იგი ტომისა ძეთა ვალადისთანა, მის
 მქირინნი, მისა მანასენნი, ტომთაგან ძეთა იოსებისთანა, ღ იტ-
 ვოდეს წინამე მოსესა, ღ წინამე ელიაზარისა მღვდელისა, ღ წინამე
 მთავართა სახლისა ღ ნათესავისა ძეთა ისრაელისათა, ღ ჰრქუტნ ✠
 ბ უფალსა ²⁾ ჩუტნსა ამცნო უფალმან მოცემად ქუტყანა სამკუდრებუ-
 ლი წილად ძეთა ისრაელისათა, ღ უფალსა ჩუტნსა ამცნო უფალმან
 ბ მიცემად მკუდრობა სალხადისა მმისა ჩუტნისა ასულთა მისთა ✠ ღ
 იუტუნენ ერთისა ტომისაგანისა ძეთა ისრაელისათა ცოლებად: ღ მიუ-
 ლოს ნაწილი მათი სამკუდრებელისაგან ნათესავთა ჩუტნთასა, ღ
 შეერთოს სამკუდრებულად ტომისა, რომელთაცა იუტუნენ იკინი ცო-

1) ე მოსე იფ. — 2) ზემორ. კზ.

ლებად, ნაწილისაგან სამკვდრებელისა ჩუწნისა განვეყენენ * უკე-
 თუ იყოს ნაშთი ძეთაგან ისრაელისათა, ღ შეეძინოს სამკვდრებელი
 იგი მათი სამკვდრებელსა მის ნათესავისასა, რომელთაცა იუწუნ
 ცოლებ, ღ სამკვდრებელისაგან ტომისა მამულისა ჩუწნისა მიედოს
 სამკვდრებელი მათი* ღ ამცნო მოსე ძეთა ისრაელისათა ბრძანებითა
 უფლისათა, ღ ჭრქუა, ესრეთ იტყუან ტომნი ძეთა იოსებისთანი *
 ესე სიტყუბა არს რომელი ბრძანა უფალმან ასუღათაჲს სალანა-
 დისთა ღ თქუა: ¹⁾ სადაცა სათნო უჩნდეს წინამე მათსა: იუწუნ
 ცოლად, გარნა ოდენ ტომისა მამისა მათისათა იუწუნედ ცო-
 ლად * ღ არა მიიქცეს სამკვდრებელი ძეთა ისრაელისათა, ნათესა-
 ვისაგან სხვად ნათესავად, არამედ კაცად კაცადი სამკვდრე-
 ბელსა ტომისა მამისა მათისასა შეეუწუნედ ძენი ისრაელისნი * ღ
 უოველი ²⁾ ასული მეძიებელი სამკვდრებელსა ტომისაგან ძეთა
 ისრაელისათა ერთისა ტომისა მამისა მათისა იუწუნედ ცოლებ,
 რათა დაიმკვდრონ ძეთა ისრაელისათა, თუთოეულმან სამკვდრებე-
 ლი თჳსი მამული * ღ არა გარდაიცვალოს სამკვდრებელი ტომით
 ტომად სხვად, არამედ კაცად კაცადი სამკვდრებელსა თჳსსად შეეუწ-
 ნედ თჳსსად ნათესავსა ნათესავნი ძეთა ისრაელისთანი * ვითარცა
 უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ ჰქვეეს ასულთა სალანადისთა * ღ
 იუწუნეს მახლა, ღ თემსა, ღ ეგლა, ღ მელეჳა, ღ ნუა, ასულნი სალანა-
 დისნი, ძენი მძის წულთა მათთა ტომისაგან მანასესთა ძეთა იოსე-
 ბისთასა იუწუნეს ცოლად * ღ იყო სამკვდრებელი მათი ნათესავისა
 მის ტომისა მამისა მათისა * ესე მცნებამ ღ სამართალნი, ღ მძჯა-
 ვრნი არიან, რაოდენი ამცნო უფალმან ჳელითა მოსესითა, დასაჳ-
 ლით მოაბსა, იორდანეს ჳედა იერიქით კერძო.

დასასრულსა წიგნთა მოსესთა აქტნ თავსა შორის თვისასა თავი ლე.

¹⁾ ტობაჲ ა.—²⁾ ტობაჲ გ.

წიგნი მეხუთა მეორე შჯულისა

თ ა ვ ი ა.

ესე სიტყუანი არიან რომელთა ეტეოდა მოსე ჟოველსა ისრაელსა წიად იორდანესა, უდაბნოსა მას დასავლით კერძოდ, მასლობელად მეწამულისა სღჯსა შორის ფარანსა და ტოფოლსა, და ლობინსა, და აბლონსა, და სადა იგი ოქრო იყო და ათერთმეტ დღისა დასავლით ქორებით კსით მთად სვირად ვიდრე კადედ ბანანად და იყო მეორმოცესა მას წელსა, შეათერთმეტესა თქვსა, ერთსა მის თჯსა, ეტეოდა მოსე ჟოველთა მეთა ისრაელისათა, ჟოველი რომელ აძგნო მას უფალმან და ¹ რაქამს დასცა მან მეფე სეონ ამორეველთა, რომელ იგი დამკვდრებულ იყო ესებონს, და ოჯ მეფე ბასანისა, რომელ დამკვდრებულ იყო, ასტაროთს, და ედრაიმს და წიად იორდანესა, ქვტყანასა მას მოაბელთასა: იწყო მოსე თსრობად შჯულისა ამის, და თქვა და უფალი ღმერთი ჩუტნი გუტტეოდა ჩუტნი ქორებს, და თქვა: კმაჲ იუვენ თქუტნდა დგომა მთასა ამას და მიიქეცით და ღირენით, და მივედით და შევედით მთასა მას ამორეველთასა, და ჟოველთა მათ კარემო მკვდრთა არაბელთასა, ველთა, მათთა და ღელეთა დასამსრით კერძოდ სღჯს კიდესა მას ქვტყანასა ქანანელთასა, და ჟოველსა მას მთის ზირისა ღიბანით კერძოდ, ვიდრე მდინარედ დიდადმდე ეფრატად და აჯა ეგერა მიმიცემრეს თქუტნდა ქვტყანა იგი, შევედით და დამკვდრეთ ქვტყანა იგი, რომლისა თჯს ეფუცა უფალი მამათა თქუტნთა, აბრაამს, ისააკს, და იაკობს, მიცემად მათდა და ნათესავსა მათსა შემდგომად მათსა და მას ჟამსა შინა გეტეოდე თქუტნი, და კარქე: ვერ დაეითმო თქუტნი მარტომან ევანება თქუტნი და რამეთუ უფალმან ღმერთმან თქუტნმან კანკამრავლნა თქუტნი, და აწ

¹) მოსე ივ.

ევერა ხართ თქუენ ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი სიმრავლითა და
 უფალმან ღმერთმან მამათა თქუენსთამან შეგმინენ თქუენ, ვითარცა
 ხართ ათას წილ, და გავურთსნენ თქუენ ვითარცა გეტეოდა თქუენ და
 აწ მე ვერ შეუძლო თავს დებად ურვასა მავას თქუენსა, და სიმძიმეს
 თქუენსა და გდომასა სასჯელისასა და განგებად და აწ მომცენით მე კა-
 ცნი ბრძენნი: და კონიერნი, და მეცნიერნი, ნათესავთავან თქუენთა,
 რათა დავადგინე იგინი მთავრად და განმგებელად თქუენ სედა და
 მომიკეთ, და მარქუთ: კეთილ არს სიტუჟა ევე რომელსა მეტევ ჩუენ
 უოფად და მოვიუვანე თქუენგანსი კაცნი ბრძე და კონიერნი, და მე-
 ცნიერნი, და დავადგინენ იგინი წინამძღურად თქუენდა, და ათასის
 თავებად, და ასის თავებად, და ერვასის თავებად, და ათის თავებად, და
 მწიგნობარნი სასჯელისა განმგებელად ნათესავთა თქუენთა და
 და ვამცენ მსაჯულთა თქუენთა, მას კამსა, და ვარქუე, და ვარქუ
 ისმინეთ შორის მამათა თქუენთა და ¹⁾ საჯეთ სიმართლე, შორის კა-
 ცისა, და შორის მძისა მიმართ თქუენისა, და მწირისა და
 და ²⁾ ნუ თვალაღებთ სასჯელსა, და ნუ მისედავთ სიკინით, და
 სიდიდით, და ნუ თვალთაღებთ ზირსა კაცისასა, რამეთუ ³⁾ სასჯელი
 ღმრთისა არს: და სიტუჟად, რომელ ფიცსელ იეოს და ვერ შესამლე-
 ბულ იეოს თქუენდა განგებად, სემდა მოაწიეთ, და მე განვაგო და მას
 კამსა შინა გამცენ თქუენ და ვარქუე ვითარმედ უოველთა მავათ მცნე-
 ბათა რომელ გამცნებდი ჰყოფდით და წარვიძრენით ჩუენ ქორე-
 ბით და განვლეთ უღაბნოჲ იგი დიდი, და საძინელი, რომელ თქუენ
 თვთ იხილეთ, კსა იგი მთისა მის ამორეველთასა, ვითარცა კვამ-
 ცნო უფალმან ღმერთმან ჩუენმან, და მივიდეთ კადის ბარუადმედ და
 და ვარქუე თქუენ: მოვედით მთამდე აღმორეველისა, რომელ იგი
 უფალმან ღმერთმან მოგცეს თქუენ იგულეთ და ისილეთ რამეთუ
 მოგცა თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან წინაჲე ზირსა თქუენსა
 ქუენგანაჲ იგი მათი, შევედით და დაიკვდრეთ, ვითარცა ვრქუა თქუენ
 უფალმან ღმერთმან მამათა თქუენსთამან, თქუენ ნუგემინინ ნუცა

¹⁾ იოანე 8. — ²⁾ ა ჰეტრე ა. — ³⁾ ე მოსე ით. იტა. კდ. ზინაჲ მბ.

კბ შეძრწუნდებით **Ⴣ** **ღ** მოსვედით ჩემდა, **ღ** სთქუთ ¹⁾ წარავლინეთ კაცნი წინასწარ ჩუტნსა, **ღ** მოვლონ **ღ** მოისტრონ ქუტყანა იგი, **ღ** მოვიდენ **ღ** გუთხრან ჩუტნ, საზომი გზისა მის, რომელსა აღუდეთ, **ღ** ქალაქთა მათ, რომელთა შევიდეთ დამკვდრებად მათ შინა **Ⴣ**
 კგ **ღ** სათნო მიხნდა ჩემ წინაშე სიტყუა იგი, **ღ** მოვიუტანენ თქუტყანნი ათორმეტნი კაცნი, კაცი ერთი თუთოაქსა ნათესავისაგან **Ⴣ**
 კდ მოიქცენენ **ღ** წარვიდეს ივინი მთით კერძოსა მას **ღ** მიიწივნეს ვიდრე ჰუვამდე ტყენისა, **ღ** მოისტყენს ქუტყანა იგი ყოველი **Ⴣ** **ღ** მოიღეს კელითა მათითა ნაყოფი მის ქუტყანისა, **ღ** მომართუტნს ჩუტნ, **ღ** მრქუტნს: კეთილ არს ქუტყანა იგი რომელსა უფალი ღმერთი მოგუტყემს ჩუტნ **Ⴣ** **ღ** თქუტნ არა ინებეთ აღსდგა, არამედ ურჩეკმენით სიტყუასა უფლისა თქუტნისასა **Ⴣ** **ღ** სდრტყევდით ბანაკსა შინა თქუტნსა, **ღ** იტყოდით: რამეთუ ვსბუღდით ჩუტნ უფალსა, ამისთუჯს გამოკუჯვანან ჩუტნ ქუტყანით ეკუჯტით, მიცუმად ჩუტნდა კელთა აღმორეველთასა, მოწუტუტდად ჩუტნდა **Ⴣ** სადა აღუდეთ ჩუტნ, რამეთუ მძათავე თქუტნთა განდრიგენს გუღნი თქუტნნი, **ღ** იტყოდეს: ვითარმედ ნათესავი დიდი **ღ** მრავალი **ღ** უძლიერესი თქუტნსა დამკვდრებულ არს, **ღ** ქალაქები დიდები, **ღ** სდუდეები მძალი ვიდრე ცამდე, არამედ მენი კპირთაცა ვისილეთ მუნ **Ⴣ** ხოლო მე გარქუ თქუტნ: ვითარმედ ნუ გეპინინ, ნუცა შეძრწუნდებით მათგან **Ⴣ**
 კე უფალი ღმერთი წინა კიძღუს თქუტნ, **ღ** იგი ბრძოდის თქუტნ წილ, მსგავსად უფლისა მის რომელი იგი ყოა ჩუტნთუჯს ქუტყანასა მას მეკუჯტელთასა წინაშე თვალთა თქუტნთა **Ⴣ** **ღ** უდაბნოსაცა მას რომელ ესე თქუტნ იხილეთ, ვითარ იგი გუტზრდიდა ჩუტნ უფალი ღმერთი თქუტნნი, ვითარცა იგი ზრდინ კაცი შუღთა თუჯთა, ყოველთავე გზაჲთა თქუტნთა რომელთაცა სუდოდით თქუტნ, ვიდრე მოსუღვად **ღ** მოწუგნადმდე ადვილსა ამას **Ⴣ** **ღ** ამათცა სიტყუათაჲ არა ერწმუნენით უფალსა ღმერთსა თქუტნსა **Ⴣ** რომელიცა იგი კიძღოდ თქუტნ წინაშე გზით, გამოჩეკვად თქუტნდა ადგილი, გზის სღვასა თქუტნსა ცუცხლითა ღამე **ღ** კიჩუტნებდა

1) **ღ** მოსე იგ.

თქვენ გზას, რომელსა ხვდოდით, და ღრუბლითა დღისი და შე-
 სმა უფალსა კმაჲ სიტყვასა თქვენისა, და განრისხნა, ფუცა და
 თქვა და ¹⁾ ვერ ვინ იხილოს ამათ, კაცთაგანმან ქმრებასა იგი კე-
 თილთა, რომელ ვეფუცე მამათა თქვენთა და გარნა ქალბე მემან იე-
 ფონისმან იხილოს, და მას მივსცე ქმრებასა იგი, რომელსა მიიწია,
 და მეთა მისთა, რამეთუ სათნო ეყო უფალსა და და ჩემთსაცა ²⁾ გა-
 ნარისხნა უფალი თქვენ გამოჲ, და ძრქვა მე: ვერცაღა შენ შესჯდე
 მუნ და გარნა ისუ მე ნავესი, მსახური შენი, იგი შევიდეს ქმრებასა-
 სს მას აღთქმისასა, განაძლიერე იგი, რამეთუ მან დაუმკვდროს
 იგი ისრაელსა და და ერმათა თქვენთა, რომელთა თქუთ ტყვეობისა
 უოფად, და უოველმან ერმამან ჩუღმან რომელმან არა იცის დღე
 კეთილი და ბოროტი, იგინი შევიდენ მუნ, და მათ მივსცე იგი, და
 მათ დაიმკვდრონ იგი და და თქვენ მიიქცეთ და დაიბანაკეთ უდაბ-
 ნოსა მას გზას მეწამულთ ზღუთ კერძოსა და და მომიკეთ და ³⁾ მა-
 რქეთ მე: ვსცოდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა ჩვენისა, წიაღვიდეთ
 ჩვენ და ბრძოლა ვსცეთ ვითარცა გვბრძანა ჩვენ უფალმან ღმერ-
 თმან ჩვენმან; და შეიჭურენით თქვენ თუთუელად საჭურველითა
 თქვენითა, და ასედით მთასა მას და და სიტყუად იწყო უფალმან ჩვენ-
 ნდამო, ეტყოდე მაგათ, ნუ აღსწალოთ ნუცა ებრძუთ მათ, რამეთუ
 მე არა თქვენთანა ვარ, რათა არა შეიმუსრნეთ წინაშე მტერთა და და
 გეტყოდე თქვენ და არა ისმინეთ ჩემი, და გარდახედით ბრძანებასა
 უფლისასა, არამედ ურჩ ექმნენით და აღსვედით მთასა მას და და გა-
 მოვიდა ამორეველი იგი, რომელ დამკვდრებულ იყო მთასა მას
 შემთხვევად თქვენდა, და წარგიქცივნა თქვენ მეოტად, და შეგიცვნეს
 თქვენ ვითარცა ფუტკართა: და გხმრებდეს საისროთგან ვიდრე ერმად
 დე და და მოიქცეთ და დასხედით და სტიროდით წინაშე უფლისა, და
 არა ისმინა უფალმან კმისა თქვენისა, არცა მოგხედნა თქვენ და
 და დადგერთ კადესა მრავალ დღე, რაოდენცა დღე იქუნით მუნ
 მერმე.

ლდ
 ლე
 ლვ
 ლზ
 ლტ
 ლთ
 მ
 მს
 მპ
 მგ
 მდ
 მე
 მვ

¹⁾ და მოსე იდ და კვ. ებრაელთა გ.—²⁾ და მოსე ი. დაბლა გ და ლა.
³⁾ და მოსე ივ.

თ ა ვ ი ბ.

ა და მოიქცეთ მუნვე უდაბნოდ კერძო გზასა მას ერუთისსა
 სლვასა ვითარცა მეტეოდა მე უფალი, და დაუდგერით მთასა მას
 ბ. გ სეირსა: მრავალ დღე და სიტყუად იწეოდა უფალმან ჩემდა და მრქუა
 კმა იყავნ თქუწნდამოდა გარე მოდვომა მთისა მაგის: აწ მიიქცეთ
 დ თქუწნ სანსრით კერძოდა და ერსა მას აძენ, და არქუ თქუწნ ეგერა
 განხვალთ სახლუართა მძათა თქუწნთასა მეთა მათ ესავისთა, რო-
 მელ იგი დამკვდრებულ არიან სეირს, რამეთუ შემრწუნებულ არიან
 ე თქუწნ გან ფრიად და ხოლო თქუწნ ნუ ბრძოლას სცემთ მათ, რამე-
 თუ არა მიმიცემიეს ქუწყანისა მის მათისგანი თქუწნდა, არცაღა
 წარსადგომელ ერთ ფერვისა, რამეთუ ნაწილად მკვდრობისა მიმი-
 ვ ცემიეს მეთა ესავისთა მთა იგი სეირისა და არამედ ვეცსლითა საჭ-
 პელი იუიღეთ მათგან და ჭამეთ, და წვალი სასწოროთ იუიღეთ მათ-
 ზ გან ფასით, და სუთ და რამეთუ უფალმან ღმერთმან შენმან კავურთსა
 შენ უოველთა შინა საქმეთა კვლთა შენთასა, განიგულე გონებასა
 შენსა ვითარ განვლე შენ უდაბნოდა იგი დიდი და საძინელი. ესე მე-
 ორმოცე წელი არს უფალი ღმერთი შენი შენ თანა არს, არა ნა-
 ც ლულევან კეოდა შენ სიტყუასა და თანა წარვეგდით ჩუწნ მძათა
 ჩუწნთა მეთა ესავისთა, რომელნი იგი დამკვდრებულ იუენეს სეირს
 გზასა მას არაბელთასა ელათით და განიონ გაბერთ; და მოვაქციეთ
 თ და განვლეთ გზა ჩუწნ უდაბნო იგი მოაბელთა და მერძე სიტყუად
 იწეოდა ჩემდამო უფალმან: ¹⁾ ნუ ემტერებთ მოაბელთა მავათ, ნუცა
 აღადგინებთ მავათ მიძართ ღელვასა ბრძოლისასა, რამეთუ არა მო-
 გეც თქუწნ ქუწყანა იგი მავათი წილად თქუწნთა, რამეთუ მეთა
 ი ლოთისთა მიმიცემიეს იგი არორი მკვდრობისა მათისა და რამეთუ
 ბირველად ომინელნი იგი დამკვდრებულ იუენეს მას სედა, ნათე-
 ია სავი დიდ მრავალი და ძლიერი ვითარცა ენაკიმი იგი და რაჰინი შე-
 რიაცსენეს ეგრეცადა ესენი, ვითარ იგი ენაკიმი, ეგრეცა მაბელნი იგი,
 იბ სახელ დებულნი ომიანად და სეირსა ბირველად ქორეველი იგი
 დამკვდრებულ იყო, და მეთა მათ ესავისთა აღვოცენეს, და წარსწე-

კვ სა დღითი დღითგან ❖ დასდევ ძრწოლა შენი ღ შიში შენი, ეო-
 ველთა ზედა წარმართთა რომელნი არიან ზირსა ქქტქე ცისასა, რა-
 თა ეოველთა რომელთა ესმეს სასელი შენი შეძრწუნდენ, ღ საღმო-
 ვზ ბამან შეიპურნეს იგინი ზირისაგან შენისა ❖ ღ ¹⁾ წარავლინე მო-
 ციქულნი უდაბნოთ კადემოთით სეონ მეფისა მის ესებონელთასა,
 კტ სიტუჯთა მშჯდობისათა, ღ არქუ ❖ ვითარმედ განვლო ქქტქანა ეკე
 ლ ჩუტნითა ❖ ვითარცა მიეყანა ჩუტნ იგი ძეთა მათ ესავისთა, რომე-
 ლნი დამკვდრებულ იეუნეს სეირს, ღ ვითარცა განვლოთ ქქტქანა
 იგი მოაბელთა, რომელნი დამკვდრებულ იეუნეს აროერს, ვიდრე
 წიაღვლო მე იორდანით მივიწიო ქქტქანასა მას რომელ იგი უფა-
 ლმან ღმერთმან ჩუტნმან მომცეს ჩუტნ ❖ ღ არა ინება სეონ მეფე-
 ლმან მან ესებონელთამან, განსლვა ჩუტნი მიერ, რამეთუ განაფიცსა
 უფალმან ღმერთმან ჩუტნმან სული მისი, ღ განამტკიცა გული მი-
 ლბ სი რათა მოცცეს იგი კელთა შენთა, ვითარცა დღეს დღე ❖ ღ ²⁾
 სიტუჯად იწყოღ უფალმან ჩემდა მომართ, აჰა ესერა მიწიეის მე
 მიცემად წინაშე შენსა სეონ მეფე ესებონისა ამორეველი იგი, ღ
 ქქტქანა მისი, აწ იწვე განწილებად, დამკვდრებად ქქტქანა იგი
 ლკ მისი ❖ ღ გამოვიდა სეონ მეფე ესებონისა შემთხვევად ჩუტნდა
 თჯთ, ღ ეოველი ერი მისი ღვაწლითა ბრძოლისათა იასსა შინა ❖
 ლდ ღ განწირა იგი უფალმან ღმერთმან ჩუტნმან წინაშე ზირსა ჩუტნსა
 ღ კელთა ჩუტნთა, ღ მოვსრათ იგი ღ მენი მისნი, ღ ეოველი ერი
 ლე მისი ❖ ღ მოვიპურნით ეოველნი ქალაქები მას ჟამსა შინა, ღ მო-
 ვსრათ ეოველი ქალაქები მისი, ერთბაშად: ღ მოვსწუჯდენით ცოლ-
 ნი მათნი ღ ძული მათნი ღ ეოველი რააცა იყო არა განერა ერ-
 ლვ თიცა კაცი ცოცხალი ❖ კარნა საცსოვარი მათი ტეუტდ წარმოვი-
 ლვ დეთ, ღ ნატეუტნავი ქალაქთა წარმოვიდეთ ❖ აროერთ რომელი
 ლზ იგი არს კიდესა ზედა მდინარისა მის აჰრნონისასა, ღ ქალაქი იგი

¹⁾ დ მოსე კა. — ²⁾ ა მოსე ბ.

მნელოვანი, რომელი დაშენებულ იყო კვეს მას ვიდრე მთადმდე
 ცალადისა, ღ არა იყო ქალაქი რომელიმცა განერა კელთაგან
 ჩუწნთა, არამედ უოველი იგი ქალაქები მოგუტცა ჩუწნ უფალმან
 ღმერთმან ჩუწნმან კელთა ჩუწნთა ზ სოლო ქუტყანასა მას მეთა
 მათ ამონისთა არად შევეხენით, საზღუართა მათთა ნაღვარევეთასა
 იაბუკისთა, ღ უოველი იგი ქალაქები მთის კერძო, ვითარცა გუამ-
 ცნო ჩუწნ უფალმან ღმერთმან ჩუწნმან.

თ ა ვ ი ზ.

და მივიქეცით ¹⁾ ღ მივედით გუასა მას ბაჟსად კერძო: ღ ტა
 მოვიდა ოკ მეფე ბაჟსანისა შემთხვევად ჩუწნდა, იგი ღ უოველი ერი
 მისი მისთანა ბრძოლისა უოფად ჰედრანად ზ სიტყუად იწყო ჩემდა-
 მო უფალმან ღ მრქუა მე: ნუ გეშინინ, ღ ნუცა შეძრწუნდები მის-
 კან, რამეთუ კელთა შენთა მიმიცემიეს იგი, უოვლით ერთი მისი-
 თურთ, ღ უოვლითურთ ქუტყანით მისით, ღ უფავ მას რაცა. იგი
 უფავ სეონ მეფესა ამორეველთასა, რომელ იგი დამკვდრებულ იყო
 ესებონს ზ ღ მოგუტცა ჩუწნ უფალმან ღმერთმან ოკ მეფე იგი ბა-
 სანისა ღ უოველი იგი ერი მისი: მოვსართ იგი ღ უოველი სოფე-
 ლი მისი: ღ არა დაშთა სოფელსა მისსა რათსავი ზ ღ დავიზართ
 უოველი ქალაქები მათი მას ჟამსა შინა: არა იყო ქალაქი, რომელი
 არა დავიზარით მათგანი: სამეოცი ქალაქი, დავიზართ სოფლებით
 მათით არგოკ მეფისა მის ოგის ქუტყანისა მის ბასიანელთასა ზ
 უოველი ესე ქალაქები, მტკიცე ზღუდე მალალი ბჟე ღ მოქლონები,
 მათი განგებული: ღ ქალაქები სოლო იგი უზღუდო ფერეხელთა
 ფრიად მრავალი ზ მოვსართ ივინი, ვითარცა ვუქმენით სეონ მე-
 ფესა ესებონელთასა: ღ მოვსართ უოველი ქალაქები ერთბაშად, ღ ცო-
 ლები მათი ღ შვილები მათი ზ ღ საცხოვარები მათი ღ მონაგები მათი
 ღ ნატუქუტყანავი ქალაქთა მოვიდეთ ჩუწნდა ზ ღ დავიზართ ქუტყენა
 იგი მათი მას ჟამსა შინა კელთაგან ორთა მეფეთა ამორეველთასა, რო-
 მელნი იგი იუტენეს წიალთა იორდანისთა, ნაღვარევეთგან არნო-
 ნით ვიდრე მთადმდე აერძონისა ზ რომელსა ფინიკელთა სხელ-

1) ღ მოსე კა. ჰქმ. კო.

სდევს ჭაერძონ, რომელ იგი არს სანითარი, სოლო ამორეველძან
 ი სანირ სახელი უწოდა ❖ ზე ეოველი ქალაქები ნისორისა, ზე ეოვე-
 ელი კალადი ზე ეოველი ბასანი ვიდრე ელქაადმდე ზე ედრადიმდე:
 ია ესე ეოველი ქალაქები ოგის მეფისა მის ბასანელთასა ❖ რამეთუ
 ოკ მეფე ბასანელთა მარტოჲ დაშთა რაფანელთაცან; ზე ოჲო ცსე-
 დარი მისი ცხედარი რკინისა, ზე მწუჭლსა მას მეთა აშმანისათასა,
 იბ ცხრა წერთა სივრძე მისი, ზე ოთხ წერთა სივრცე მისი, წერთითა
 მამა-კაცისათა ❖ ზე ¹⁾ ქუჭუნა იგი მათი დაჟიმკვდრეთ ჩუჭნ მას
 ეამსა შინა არორისაცან რომელ არს კიდედმდე ნაღვარევისა მის
 არწონისა, ვიდრე სოკადმდე მთისა მის კალადელთასა, ზე ქალაქ-
 ივ ბი იგი მათი მივსცე რუბენს ზე კადს ❖ ზე ნეპტი იგი კალადისა,
 ზე ეოველი იგი ბასანი მეფისა ოგისი მივსცე კერძოსა მას ნაოქს-
 ვსა მანასესსა, ზე ეოველი იგი გარემო სოფლები, არგობისა, ზე
 იდ ეოველი ბასანი ქუჭუნად რაფანისა შერაცხილ არიან ❖ ზე იანი
 მემან მანასესმან დაიწრა ეოველი იგი სოფლები არგობისა, ვიდ-
 რე საზღვარამდე კარვანისა, ზე მაქათისა; ზე ეანი სახელი უწოდა
 მას სახელად თავისა თვისისა ბასანავარი მოდღეირდელად დღედ-
 იე.ე.ე მდე ❖ ზე მაქირს მივეც კალადი ❖ ზე რუბენს ზე კადს მივეც ქუჭუ-
 ნისა მის კალადისა, ვიდრე ნაღვარევადმდე არწონისა, შუა საზღუ-
 იზ რითგან ნაღვარევისა მის ვიდრე იაბოკამდე: ნაღვარევი იგი რო-
 იზ მელ არს საზღვარი მეთა მათ ამონისთა ❖ ზე რაჲბია ზე იორდანი
 თვთ საზღვარი არს მაქინერითგან ვიდრე არაბიელთა ზღვისამდე,
 ზე ზღვით მარლილოვანითგან, ზე ასელოთით ვიდრე ფასკადმდე
 იწ აღმოსავლეთისა ❖ ზე კამცენ თქუჭნ მას ეამსა შინა ზე კარქუ,
 უფალმან დმერთმან თქუჭნმან მოცვა თქუჭნ ქუჭუნა ევე ნაწილად
 მკვდრობისა თქუჭნისა, შვიჭურენით ზე წარგუალეთ მამათ თქუჭნ-
 ით თანა მეთა მათ ისრაელისათა, ეოველი კაცი მლიერი ❖ კარნა
 დედა წული თქუჭნი, ზე შვილნი თქუჭნნი, ზე სავსოვარი თქუჭნი,
 უწვი რამეთუ მრავალ არს სავსოვარი თქუჭნი, დაუტყვევით ქალა-
 კ მეთა მაგათ თქუჭნთა, რომელ ევე მივეც თქუჭნ ❖ ვიდრემდე გან-

1) ზ მსე ლბ.

სასწრწნებელი სცეს უფალმან ღმერთმან თქუწმან მძათა თქუწნთა, ვითარცა ეგე თქუწნ, და დაეკუდრნენ ივინიცა ქუწყანასა მას რომელ იგი უფალმან ღმერთმან მათმან მისცეს მათ, წიად იორდანესა მდინარესა, და მიიქცეს კაცად კაცადი თუთუელად სამკუდრებულადვე თუთა, რომელ მიცევ თქუწნ და და ვამცენ ისუს მესა ნავესსა მას კამსა შინა, და ვარქუ: თუაღთა თქუწნთა იხილეს, რაჲ იგი უფო უფალმან ღმერთმან თქუწმან, ორთა მათ მეფეთა, ეგრე უფოს უფალმან ღმერთმან თქუწმან უოველთა მათ მეფეთა, რომელთა იგი მისუაღთ თქუწნ მუნ და ნუ კემინინ მათგან, რამეთუ უფალი ღმერთი თქუწნი ბრძოლეს თქუწნ წილ და და ვევედრე უფალსა მას კამსა შინა და ვრქუ და უფალო ღმერთო, შენ იწუე ჩუწნებად მას კამსა შინა მონისა შენისა ძალი შენი და სიმტკიცე, კელითა ძლიერითა, და მელავი მადალი, და ვინ არს ღმერთი ცათა შინა, ანუ ქუწყანასა ზედა, რომელმანცა ეოს ესე, რომელ ესე შენ ჰეავ ჩუწნ თუ ანუ მსგავს ძლიერებისა შენისა და აწ ჯერ თუ გიჩნდეს წიადვე და ვინილო ქუწყანა იგი კეთილი, რომელ იგი არს წიად იორდანესა, მთაჲ იგი კეთილი, და ადგილი იგი ანტილიბანისა და და ¹⁾ უგულებელ მეო მე უფალმან თქუწნ თუ და არა ისმინა ჩემი, მერმე მომიგო მე უფალმან და მრქუა, კამა იყავნ შენდა, ნულარა შესმინებ სიტყუად ჩემდა სიტყუასა მავას და არამედ აღვედ შენ თხემსა მთისა მავის გამოთლილისასა, და აღიხილენ თუაღნი შენნი ზღვით კერძო, და სამსრით, და ჩრდილოთ, და დასავლად, და აღმოსავლად, და იხილე თვალითა შენითა, რამეთუ არა სადა წიადივლად სარ შენ წიად იორდანესა და არამედ შენ ამცენ ისუს და განამტკიცენ იგი, და ნუკემინინ ეც მას, რამეთუ ესე წიადსრულ ჰეოფს ერსა მას, და მან განეოს და დაუკუდროს მათ ქუწყანა იგი, რომელ ეგე შენ იხილე და და ვსხედით ჩუწნ ღელესა ერთსა მასლობელად სახლსა მას ფოგორისსა.

კა
კბ
კგ
კდ
კე
კვ
კზ
კთ

თ ა ვ ი ლ.

1) ეკემოდენ ისრაელსა სამართალნი და მსჯავრნი, რომელ-

1) ზეოა ა. ქუწმო ღ. - 2) ღ მოსე ლბ. ქუწმო. აბ.

სა ესე მე განწავებ დღეს დღე უოფად მაგისა, რათა სცხოვნდეთ & განმრავლდეთ, შეხვდეთ & დაიმკვდროთ ქრისტეანა იგი, რომელი იგი უფალმან ღმერთმან მამათა თქუწნთამან მოგცეს თქუწნ სამკვდრებელად ❖ ¹⁾ არა შესძინოთ სიტყუა ერთი რომელსა ესე მე გამცნებ თქუწნ, & არცა დააკლოთ მაგას, არამედ დაიცვენით თქუწნ მცნებანი უფლისა ღუთისა თქუწნისანი, რომელთა ესე მე გამცნებ თქუწნ დღეს ❖ ²⁾ თუაღნი თქუწნნი ხედვიდეს, რამ იგი უუო უფალმან ღმერთმან ბელაფეგორს, რამეთუ უოველი კაცი რომელი შეუდგა ბელაფეგორსა, ადგოცა იგი უფალმან ღმერთმან თქუწნმან თქუწნ შორის ❖ ხოლო თქუწნ შესალებულ უფლისა ღუთისა თქუწნისა სცხოვნდეთ ვითარცა ესე დღეს დღე ❖ იკულოთ, აჭა ესერა სიკეც თქუწნ სამართალი & მშჯავრი ვითარცა მამცნო მე უფალმან ღმერთმან ჩემსან, რათა ჰყოთ თქუწნ იგი ქრისტეანასა მას, რომელსა შეხვალთ დამკვდრებად მუნ ❖ & ³⁾ დაცვად მცნებათა მათ & უოფად ამისა, რამეთუ ესე არს სიბრძნე & მეცნიერება თქუწნდა, წინამე უოველთა წარმართთა; რომელთაცა ესმოდის უოველი სამართალი ესე, & თქუან: აჭა ესერა ერი ბრძენი & მეცნიერი, ნათესავი დიდი ესე ❖ რამეთუ რომელი არს ნათესავი დიდ, რომლისამცა არს უფალი ღმერთი, მასლობელ მათდა, ვითარცა უფალი ღმერთი ჩუწნნი მასლობელ არს ჩუწნდა უოველსავე ადგილსა რომელსაცა ესალოდით მას ❖ ანუ რომელი არს ნათესავი დიდ, რომელსა მიცემულ არს სამართალი & მშჯავრი, მსგავსად უოველისა ამის მჯულისა, რომელ ესე მე მიკეც თქუწნ დღეს დღე ❖ იკულოთ თავი შენი, & დაიცევ სული შენი ფრიად, ნუ დაივიწყებ უოველთა მათ სიტყუათა, რომელ ესე იხილეს თვალთა შენთა: & ნუსა განმორებ კულისაგან შენისა უოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათ: არამედ ⁴⁾ წითუილ ჰქუწნი მუღნი შენნი, & მუღნი მუღთა შენთანი ❖ დღესა მას რომელსა წარსდგეთ თქუწნ წინამე უფლისა ღუთისა თქუწნისა ქორებს, დღესა შეკრებისასა რამეთუ მეტკოდა

¹⁾ იგავი ა. ქრწმორე იბ.—²⁾ & მასე გ. ისრა წავე ვბ.—³⁾ ა. ეზდრ. იდ.
⁴⁾ ქრწმორე ია. & ეზდრ. ე.

მე უფალი ჰ მრქუა: შემოკრიბე ერი ევე ჩემ წინაშე, ჰ ისმინეს
 სიტყვანი ჩემნი, ჰ შეისწავონ შიში ჩემი ეოველთა დღეთა, ცხოვ-
 რებისა მათისათა, რადენცა ცხოვნიდენ ქუჭყანასა ზედა ჰ ასწავონ
 შჯლთაცა მათთა ჰ ჰ მოჰკრებით, ჰ დადგით წინაშე მთასა
 მას, ჰ მთაჲ იგი აღატყუდებოდა ცეცხლითა ვიდრე ცამდე: ჰ ბნე-
 ლი, კშირი ნისლისა ჰ არმურისა, (ჰ კმაჲ დიდი) ჰ ჰ გეტყოდა
 თქუენ უფალი მიერ მთით შორის ცეცხლსა მას, რომლისა კმაჲ
 სიტყუთა მისითა გესმოდა თქუენ, ხოლო ¹⁾ ქმნულეებასა არა სე-
 დგდით არამედ თუნიერ კმასა ჰ ჰ გითხრობდა თქუენ მცნებათა
 ამათ, რომელ იგი გამცნო თქუენ ეოფად მისა, ჰ მოკცნა თქუენ
 ათნი იგი მცნებანი: დაწერილნი ორთა ზედა ფიცართა ქვსათა ჰ
 ჰ ²⁾ მამცნო მე უფალმან მას კამსა შინა სწავლად თქუენდა სამარ-
 თალი ჰ მძჯავრი რათა ჰუოთ იგი ქუჭყანასა მას, რომელსა შე-
 ხვალთ თქუენ დამკვდრებად ჰ ეკრძალებით თავთა თქუენთა ფრიად
 რამეთუ ხატი ქმნილებისა არა იხილეთ თქუენ დღესა მას რომელ-
 სა გეტყოდა თქუენ უფალი მთასა მას ქორებისა, შორის ცეცხლსა
 მას ჰ ჰ თქუენ ნუსადა ურს ექმნებით ნუსა იქმთ თავისა თქუენნი-
 სა ეკრძათ გამოქანდაკებულთა, მსგავსად ხატისა შამრისა გინა თუ
 მდედრისა ჰ გინა თუ მსგავსსა ეოვლისა საცხოვარისასა, რომელ
 რაჲ არს ქუჭყანასა ზედა; ანუ თუ მსგავსსა ეოვლისა მფრინველი-
 სასა, ფრთოვანისა რომელი ფრინავს ცასა ქუჭყე ჰ ანუ მსგავსე-
 ბასა ეოვლისავე ქუჭ წარმავალისასა, რომელი მურების ჰირსა
 ზედა ქუჭყანისასა ანუ მსგავსსა თევზისა მცურვალისასა, რომელი
 ცურავს წყალთა შინა ქუჭყანასა ქუჭყე ჰ ნუსა აღიხილავთ ზეცად
 რომელთა რაჲამს იხილოთ მზე, გინა მთოვარე ჰ ვარსკუჭლავნი,
 ანუ თუ ეოველი სამკაული ცათა, ჰ შესცდეთ თავუნიის ცემად მათ-
 ჲა, ანუ მსახურებდეთ მათ, რომელ იგი განკამორა თქუენგან
 უფალმან დემერთმან თქუენმან ჰ მისცა წარმართთა რომელ არს
 ცასა ქუჭყე ჰ ხოლო თქუენ მევიწწნარნა ³⁾ უფალმან დემერთმან
 თქუენმან ჰ გამოკეთუნანა თქუენ საკმილისა მისკან რეინისა

ია
 იბ
 იკ
 იდ
 იე
 ივ
 იზ
 იტ
 ით

¹⁾ ბ მოსე ით. ნემა თ. იანე ე.—²⁾ ა ეზდრა ვ.—³⁾ ზინაჲ იბ.

ქუჩუანისა მისგან ეგუჯტელთასა რათა იუენეთ თქუცნ მისა წილად,
 კა ერთი მკუდრობისა დღეს დღე ზღ 1) უფალი ღმერთი განრისხნა
 ჩემ ზედა სიკუჭათა თქუცნთათუხს, ზ ფუსა, რათა არა წილადიდე მე
 იორდანესა მდინარესა, ზ არცა შევიდე მე ქუცუანასა მას, რომელი
 იგი უფალმან ღმერთმან თქუცნ მოგცეს ნაწილად მკუდრობისა
 კბ თქუცნისა ზ ხოლო აწ მე მოსიკდიდ ვარ ამასვე ქუცუანასა, ზ არა
 წილსლვად ვარ მე იორდანესა მდინარესა: ხოლო თქუცნ წილ-
 კმ კდეთ ზ დაიმკუდროთ ქუცუანა იგი კეთილთა ზ კერძალენით, სუ
 უეუც ღაივიწყოთ თქუცნ მცნებაა იგი უფლისა ღმერთისა თქუცნისა,
 რომელ გამცნო თქუცნ, არა იქმნეთ თავისა თქუცნისა კერძნი გა-
 მოქანდაკებულნი მსგავსად ეოვლისა მის, რომლისა ესე გიბრძანა
 კდ თქუცნ უფალმან ღმერთმან განმორებად მისგან ზ რამეთუ უფალი
 კმ ღმერთი თქუცნი ცეცსელ შემწუცლ არს, ზ ღმერთი მოხურნე ზ ის-
 ხნე შენ შუღნი შენნი, ანუ შუღლის შუღნი, ზ დღეგრძელ იყო
 ქუცუანასა ზედა, ზ უკეთუ უშჯულოებდე, ზ ჰყოთ ჩამოხსმე-
 კმ ლი მსგავსი ეოვლისა, ზ ჰყო ბოროტი წინამე უფლისა ღმერთისა
 შენისა, ზ განრისხნეს უფალი ღმერთი შენი ზ ზ აჰა ესერა შეე-
 წამებ მე დღეს თქუცნ, წინამე ცასაა ზ ქუცუანასა, რამეთუ მოს-
 ზოლოვით მოგსხოვლნეს თქუცნ ქუცუანისა მისგან, რომლისათუხს
 წილსლვალთ იორდანეს მდინარესა, დამკუდრებად მისა, ზ არა დღე-
 კზ კრძელად დაიმკუდროთ მუნ, არამედ მოსრვით მოისრნეთ ზ ზ გან-
 განიხნეს თქუცნ უფალმან ღმერთმან თქუცნმან ეოველთა შორის
 წარმართთა, ზ დაშთეთ თქუცნ მცირედ რიცხვთ წარმართთა მო-
 კწ რის, რომელ იგი შეგიუჭანნეს თქუცნ უფალმან ზ ზ მსახურეოდეთ
 თქუცნ კერზთა უცხოთა, ქმნილთა, კელითა კაცთათა, ძელითა ზ
 რვალისათა, რომელნი არა ხედვიდენ ზ არცა ესმოდის, ზ არცა შჯუ-
 კთ მდენ, არცა იენოსდენ ზ ზ ეძიებდეთ თქუცნ უფალსა ღმერთსა
 თქუცნისა, ზ ჰხოთ იგი, რაჟამს ეძიებდეთ მას ეოვლითა გონებითა
 თქუცნითა, ზ ეოვლითა სუღლითა თქუცნითა რაჟამს სიმძაბლით
 ლ ეძიებდეთ მას ჰირსა შინა თქუცნსა ზ ზ მოკეკონებოდინ თქუცნ

1) დ მოსე კ. ზემორე ა. დაბლა გ. ქუცუმორე ივ.

სიტყუანი ესე ჩემნი: შეძღვრამად კამისა, და მოიქცე შენ უფლისა
 მძაბრთ ღმრთისა შენისა, და ისმინო კმაჲ ბრძანებისა მისისა და
 რამეთუ უფალი ღმერთი მოწყალე არს და შემწუნარე, უფალი ღმერ-
 თი შენი, არა დაგავდოს შენ, არცა წარგწყვიდოს შენ, არცა დაი-
 ვიწყოს აღთქმა იგი მამათა თქუენთაჲ, რომელ იგი ეფუცა მათ და
 ისილეთ დღენი იგი ჰირველნი, რომელ იგი თქუენსა წინა იეჴნეს,
 ვინა დღითგან შექმნა ღმერთმან კაცი ჰირსა ზედა ქუენისასა, და
 კიდითგან ცისათ, ვიდრე კიდედმდე ცისა მის, ყოფით თუ სადამე
 არს მსგავსად სიტყუსა ამის დიდისა, რომელ ესე თქუენს გესმა:
 ესმა თუ რომელსამე ნათესავსა, კმაჲ ღმრთისა ცხოველისა ვითარ
 იგი ეტეოდე შორის ცეცხლსა, ვითარ იგი კესმოდა შენ, და სცხო-
 ვნდი და ანუ თუ განსადმე კცაჲ ღმერთმან შესლავად, და გამოეუ-
 ნებად ნათესავი შორის ნათესავთაგან, გამოცდათ სასწაულებითა, და
 ნიშებითა, და ბრძოლითა ველითა მტეიცითა, და მკლავითა ძაღლი-
 თა, და საჩუენებელითა დიდ ძალითა ყოველთათჳს რომელ ყოჲ
 უფალმან ღმერთმან თქუენმან ქუენისასა მას ეკუბტისასა წინაშე
 შენსა მსედველისა და რათა გულის კმაჲ ჰყო, რამეთუ უფალი ღმე-
 რთი შენი მხოლო ღმერთი არს, და არა არს სხუჲ ღმერთი მისს
 გარეშე და ცით გარდაპოისმა შენდა კმაჲ მისი, და სასწაულად შენდა
 და ქუენისასა ზედა გიჩუენსა შენ ცეცხლი იგი დიდი მისი, და სიტ-
 ყუა იგი მისი გესმა შორის ცეცხლსა მას და რამეთუ შეიყვარნა
 მან მამანი იგი თქუენნი, და გამოიჩინა მან ნათესავი იგი შემდ-
 გომად მათსა, თქუენს ყოველთა: და ¹⁾ გამოგეუენა შენ ძალითა მით
 დიდითა ქუენისას მისგან მეკუბტელთასა და დცემად წინაშე ჰირსა
 შენსა ნათესავები იგი დიდ, დიდები უძლიერესი შენსა, შეეუენე-
 ბად და მიცემად შენდა ქუენსა იგი მათი სამკუდრებულად, მკუდრო-
 ბისა შენისა ვითარცა ევე გიჴერის დღეს დღე და რათა გულის
 კმაჲ ჰყო დღე, მოეკე გონებასა შენსა, რამეთუ უფალი ღმერთი
 შენი, და თავადი არს ღმერთი ზეცათა შინა, და ქუენისასა ზედა და
 არა ვინ არს მისა გარეშე სხუჲ ღმერთი და დაიცუნე მცნებანი

ლბ
 ლგ
 ლდ
 ლე
 ლვ
 ლზ
 ლტ
 ლთ

¹⁾ ბ მოსე იგ.

მისნი, ჰ სმართაღნი, რომელსა ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე,
 რათა კეთილი გვეოს შენ, ჰ შჯლთა შენთა, რათა დღევრემელ იუჟ-
 ნეთ, ქრწუნანსა ზედა, რომელ იგი უფალმან ღმერთმან თქრწნ მ-
 გცეს ყოველთა დღეთა თქრწნთა ზ მას ჟამსა ¹⁾ გამოაუენნა მოსე
 მსამნი ქალაქნი, წიად იორდანესა მზისა აღმოსავლით კერძო ზ ²⁾
 შესაგედრებელად კაცის მკრწლელთა, რათა რომელმანცა მოკლა მო-
 უწასი თვისი იძუდ, ჰ არა ნებსით თვისით არა ზრახვთ, ჰ არცა
 სიბუღილით იყო მისა მიმართ გუშინ ჰ ბუღან, ჰ შევარდეს ეგე
 მბ ვითარი იგი ერთსა მას ქალაქთაგანსა, კანერეს ჰ ცხოვნდეს ზ ³⁾ ბო-
 სორით უდაბნოსა კერძო ველთა მათ ქრწუნანისა რუბენისაგან, ჰ
 ჰარმითი გალადით კერძო ქრწუნანისა მისგან კადისა ჰ გოლა-
 მბ ნი ბასანით კერძო მანასისა ზ ესე შჯული არს რომელი დაღვა
 მდ მოსე, წინამე მეთა მათ ისრაელისთა ზ ესე მცნებანი არიან წამე-
 ბანი, ჰ სმართაღნი მსჯავრნი რომელთა ეტუოდა მოსე მეთა მათ
 ისრაელისთა უდაბნოსა მას, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქრწუნანით
 მე ეგვტით ზ წიად იორდანესა, კვესა მას მახლობელად სახლისა მის
 ფოგორისა, ქრწუნანსა მას სეონ მეფისა მის ამორეველთასა, რომ-
 მელ იგი დამკვდრებულ იყო ესებონს, რომელ იგი მოსრა მოსე
 ჰ მეთა მათ ისრაელისთა, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქრწუნანით
 მე ეგვტით ზ ჰ დამკვდრეს მათ ქრწუნანა იგი, ჰ ქრწუნანა ოგ მე-
 ფისა მის ბასანისა, ოროა მათ შარავანდელთა ამორეველთა, რომ-
 მელ იგი იუჟნეს წიად ბორდანესა მზისა აღმოსავალით კერძო ზ
 მზ არორითგან, რომელ არს კიდესა ნაღვარევეთა მათ არნონისთა,
 მბ მთამდე სეონისა რომელ არს აერმონი ზ ყოველით კერძო არაბათ
 მწ წიად იორდანესა, მზისა აღმოსავალით ასეროთით მით თლილით.

თ ა ვ ი ე

ა მოუწოდა მოსე ყოველსა მას ისრაელსა, ჰ ჰრქება მათ: კეს-
 მოღინ ისრაელსა ყოველი ესე სმართალი ჰ მსჯავრი, რომელთა
 ესე გატეუ თქრწნ ურთა თქრწნთა დღეს დღე, ჰ ისწავეთ, დაძარ-
 ბ ხვად ჰ ყოფად მკვისა ¹⁾ ზ უფალმან ღმერთმან დაღვა თქრწნთანსა

¹⁾ ქრწმორ. თ.—²⁾ დ მოსე ლე.—³⁾ ისრა ნაკე კ.—⁴⁾ ბ მოსე თ.

მცნება აღთქმისა ქორებს ❖ არა თუ მამათა თქუენ თანა დადვა უფა-
 ლმან აღთქმა ესე, არამედ თქუენ: ეოველინი რომელნი დღეს ცო-
 ცხალ ხართ ❖ რამეთუ ზირის ზირ გეტეოდა თქუენ უფალი მთასა
 მას შინა ცეცხლსა მას შორის ❖ ზე მე ვლევ შორის უფლისა ზე
 თქუენსა ჟამსა მას შინა თსრობად თქუენდა სიტყუთა უფლისათა,
 რამეთუ შეშინებულ იევენით თქუენ წინაჲ ზირსა მას ცეცხლისასა,
 ზე არა აღხედით მთასა მას, რამეთუ გეტეოდა თქუენ ❖ ¹⁾ მე ვარ
 უფალი ღმერთი შენი რომელმან გამოვიუწანე შენ ქუენთანით ეკუ-
 ტით, სანლისა მისგან კირთებისა ❖ ნუ იყოფინ შენდა სსუამ ღმე-
 რთი ჩემსა გარე ❖ ²⁾ არა იქმნე თავისა შენისა კერძანი გამოქანდა-
 კებულნი, არცა მსგავსი ეოვლისავე, რომელ არს ცასა შინა ზესე-
 ნელს, ზე არცაღა რომელ არს ქუენანასა ზედა ქუენსენელ, ზე რომელ
 არს წუალთა შინა ქუენ ❖ არა თაუვანისცე მათ, არცა მსახურებდე
 მათ: ³⁾ რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, ღმერთი მომურნე,
 რომელმან მივაგი ცოდუა მამათა შუღთა ზედა, სამად ზე ოთხამდე
 ნათესაუად, მომუღეთა მათ ჩემთა ❖ ზე ⁴⁾ ვევი წუალობა ათასამდე
 მოვარეთა მათ ჩემთა თუს, ზე დამცველთა მცნებათა ჩემთასა ❖ ნუ ⁵⁾
 ჭფუცავ სასელსა უფლისა ღუთისა შენისასა სიცრუეთ: რამეთუ
 არა განწმიდოს უფალმან ღმერთმან შენმან ეოველივე რომელი
 ფუცვიდეს სასელსა უფლისა ღუთისა შენისასა ამოდ ❖ ⁶⁾ დაიცვენ
 დღე იგი შაბათისა ზე წმიდაჲ ჭყო იგი, ვითარცა გიბრძანა შენ
 უფალმან ღმერთმან შენმან ❖ ⁷⁾ ექუს დღე იქმოდ, ეოველსა საქმეს
 შენსა ❖ რამეთუ ⁸⁾ დღე იგი მეშუდე შაბათი არს უფლისა ღუთისა
 შენისა, არა იქმოდ მას შინა შენ ეოველსა საქმესა შენსა, ნუცა
 შენ ნუცაღა მე შენი: ნუცა ასული შენი, ნუცა მონა შენი, ნუცა
 მკევალი შენი, ნუცა კარი შენი, ნუცა კარაული შენი, ნუცა ეოველი-
 ვე საცხოვარი შენი, ნუცა მწირი შენი, ნუცა მსხემი შენი, რომელი

¹⁾ ბ მოსე ე. ფსალმუნი ა. 3 ეზდრ. იდ. — ²⁾ ბ მოსე ე. გ მოსე კვს
 ფსალმუნი ევ. — ³⁾ ბ მოსე ე. ზ ღდ. ებრ. ღბ. — ⁴⁾ ბ მოსე ე. ზ ღ. — ⁵⁾ ებრ.
 ღბ. ბ მოსე ე. გ მოსე ით. მათე ე. — ⁶⁾ ბ მოსე ე. ზ ღა. — ⁷⁾ ე ზირაჲ ე.
 — ⁸⁾ გ. მოსე კვ. ბ მოსე ე. გ. მოსე ბ. ზ. ებრაელთა დ.

იუ შეუოფილ იუოს დაჯდეს შენთანა ბჰეთა შენთა, რამეთუ განისჯუტ-
 ნოს მონამან შენმან, ზე მკევალმან შენმან, ზე საცხოვარმან შენმან
 იუ ზე კარაულმან შენმან ვითარცა შენ ზე მოივსენენ შენ, რამეთუ შენცა
 დამონებულ იუაჲ ქუჭუნანსა მას მკეკუტელთასა, ზე გამოკიუენა შენ
 მიერ უფალმან ღმერთმან შენმან კელითა მტკიცითა, ზე მკლავითა მ-
 იუ მარხვად, დღე იგი შაბათთა ზე წმიდაჲ ჰყო იგი ზე¹⁾ ზატვი უუაჲ მამასაჲ
 შენსა ზე დედასა შენსა, ვითარცა კამცნო უფალმან ღმერთმან შენმან,
 რათა კეთილი კუეოს შენ, ზე დღეგრძელ იყო ქუჭუნანსა ზედა, რომელ
 იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოცუეს შენ ზე²⁾ ნუ კაც კლავ ზე ნუ
 იმრუებ ზე ნუ იპარავ ზე ნუ ცილსა სწამებთ მოუქსისა შენისა მი-
 კა მართ: მოწმობითა ტუეილისათა ზე ნუ გული გითქვამნ ცოლსა
 მოუქსისა შენისასა, ნუცა გული გითქვამნ სახლსა მოუქსისა შენი-
 კბ სასა, ნუცა ქუჭუნანსა მისსა, ნუცა მონასა მისსა, ნუცა მკევალსა
 მისსა, ნუცადა კარსა მისსა, ნუცა კარაულსა მისსა, ნუცა ყოველსა
 საცხოვარსა მისსა, ნუცა ყოველივე რაჲცა იუოს მოუქსისა შენი-
 კბ სა ზე ამათ სიტუენათა ეტუოდა უფალი ყოველსა მას კრებულსა
 თქუტნსა, მთასა მას შინა შორის ცუცხლსა მას, ზე შორის ბნელსა
 მას, აღმურისა მის, ნისლისა წუჭდიადისასა, კმითა მადლითა: ზე
 მერძე არღარა შესძინა, ზე დაწერა ესე ორთა ფიცართა ქუსათა, ზე
 კბ მომცნა მე ზე ზე იყო რაჲამს ისმინეთ თქუტნ კმაჲ იგი სიტუენათა
 მათ შორის ცუცხლსა მას, რამეთუ მთა იგი აღგ ზებუელი ცუცხლითა
 აღატუედებოდა, მოხვედით ჩემდა ყოველი ეგე მთავრები ნათესავთა
 კდ მგათ თქუტნთა, ზე მოხუცებულნი ერისა თქუტნისანი ზე ზე მარქუთ
 მე: აჰა ესერა გუჩუტნა ჩუტნ უფალმან ღმერთმან ჩუტნმან დიდე-
 ბაჲ იგი მისი, ზე კმაჲ იგი მისი გუტნსმა შორის ცუცხლით გამო,
 დღეს დღე, ზე ვიხილეთ, ვითარმცა ეტუოდა ღმერთი კაცსა, ზე
 კმ ცხოვნდა ზე ზე აწ ნუ უკუტ მოვსწედეთ, ანუ გუტწოდა ზე მოკუტსწ-
 ნეს ჩუტნ ცუცხლმან დიდმან ამან, შეღათუ ვსძინოთ ჩუტნ სმენად

¹⁾ ბ მოსე კ. ეფეს ვ. ზირაქ გ. მათე ე.—²⁾ მარკოზ ზ. ბ მოსე კ. ზა-
 რაქ გ. მათე ი. ეფესელ. ზ.

გმისა ამის უფლისა ღმრთისა ჩუენისა მერმე და მოვსწედეთ და ვინ არს კორციელი, რომელსამცა ესმა კმაღ ღმრთისა ცხოველისა, ვითარმცა ეტეოდა შორის ცეცხლით გამო, ვითარ ესე ჩუენ გუეტეოდა, და ცხოვრდა და აწ მიიასლე შენ, და ისმინე რაჲსა იტეოდის უფალი ღმერთი ჩუენი, და შენ გუეტეოდე ჩუენ, ყოველთა მათ მცნებათა რომელთაცა გეტეოდეს შენ უფალი ღმერთი ჩუენი, ჩუენ ვისმინოთ შენი და ვიოთ და შეესმა უფალსა კმაღ იგი სიტყუსა მის თქუენისა, რომელსა შეტეოდით მე, და მრქუა მე უფალმან: მესმა კმაღ სიტყუსა ერისა მის, რომელსა იგი გეტეოდეს შენ, მართლიად მოგიციეს შენ ყოველივე იგი რომელსაცა გეტეოდეს შენ და ვინმე მცა უეტე მისცა რათა იუოს ესრეთ გულთა შინა მათთა; მარადის ემინოდენ ჩემი, და დაიმარხვიდეს ყოველსა უამსა. მცნებათა ჩემთა ყოველთა დღეთა, რათამცა კეთილი იყო მათ, და ნამობთა მათთა უკუნისამდე და აწ მივიედ, და ეტეოდე მათ: და მიაქციენ იგინი სასიდე მათდა და სოლო შენ დადეგ აქა ჩემთანა, და გეტეოდე შენ ყოველთა მათ მცნებათა და სამართალთა და მსჯავრთა, რომელ ასწაო მათ, და ჰყოფდენ მას ესრეთ ქუეტყანასა მას ზედა, რომელი მე მივიც მათ ნაწილად და დაიცვენით, ყოფად, ვითარ იგი გამცნო შენ უფალმან ღმერთმან; არა მიაქციო მარჯულ არცა მარცხულ და ყოველთავე გზათა შენთა, რომელ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, არამედ ზედოდე ყოველთა მცნებათა მისთა, რათა განგისუენოს შენ და კეთილი გეეოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეტყანასა მას ზედა, რომელსა დაემკვდრო შენ.

თ ა ვ ი ვ.

ესე მცნებანი არიან, და სამართალნი და მსჯავრნი, რომელი იგი გამცნო თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან რათა ისწაოთ და ჰყოთ ესე, ქუეტყანასა მას რომელსა ეგე თქუენ შეხვალთ, დამკვდრებად და რათა გეშინოდის შენ უფლისა ღმრთისა შენისა, დაიცუნე შენ მცნებანი და სამართალნი მისნი, რომელთა ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე, შენ და შეილთა შენთა და ძეთა ძეთა შენთასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, რათა დღეგრძელ იყო შენ და ისმინე

კპ
კზ
კტ
კთ
ლ
ლბ
ლგ
ბ
გ

ისრაელ, ღ ეკრძაღე ეოფად ეოფელთა ამათ მცნებათა რათა კეთილი
 გეგოს შენ, ღ კანძრავლდე ფრიად; ვითარცა ეტეოდა უფალი ღმე-
 რთი მამათა მათ შენთა, მიცემად შენდა ქქტყანა იგი რომელსა გა-
 მოსდის სძე ღ თაფლი. ესე სამართალნი ღ მსძჯავრნი არიან, რო-
 მელნი იგი ამცნო უფალმან შეთა მათ ისრაელისათა უდაბნოსა მი-
 და, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქქტყანით ეგჯჯტით ❖ გესმოდინ ის-
 რაელსა უფალი ღმერთი ჩუტნი მსოლო უფალი არს ❖ ღ ¹⁾ შეი-
 ევარო უფალი ღმერთი შენი ეოვლითა გულითა შენითა, ღ ეოვ-
 ვლითა კონებითა შენითა, ღ ეოვლითა ძალითა შენითა ❖ ღ ²⁾ იეჭ-
 ნენ სიტყუენი ესე, რომელთა შე გამცნებ შენ დღეს დღე, გულსა
 ზ შენსა, ღ კონებასა შენსა ❖ ღ ³⁾ ასწავლენ ეგე შეილთა მათ შენთა,
 ღ ეტეოდი მაგათ ჯდომასა სახლსა შინა შენსა, ღ სღვასა გზასა
 ტ შენსა, ღ სასუტყნებელსა შენსა, ღ აღდგომასა შენსა ❖ ესე შეისხენ
 თ ლთა შენთა ❖ ღ დასწერე იგი ზღრუბლსა სახლისა შენისასა, წურთი-
 ი ლთა ბჭეთა შენთასა ❖ ღ იეოს რაჟამს შეგეიუენოს შენ უფალმან
 ღმერთმან შენმან ქქტყანასა მას, რომელ იგი ეფუცა მამათა მათ
 შენთა აბრამს, ისააკს, ღ იაკობს, მიცემად შენდა ქალაქებისა მის
 დიდ დიდებისა, ღ შუტნიერებისა, რომელნი შენ არა აღაშენენ ❖
 ია სასლუები სავსენი ეოვლითა მით კეთილითა, რომელნი შენ არა
 აღავენენ, ჯურღმულებისა მის აღმოქმულებისა, რომელი არა შენ
 ჭქმნენ, ვენაგებისა მის ღ ზეთის სიღებისა რომელი არა შენ დახე-
 იბ რკენ, შჭამდე რაჟ უკუტ კანსძღე ❖ ეკრძაღე თავსა შენსა რათა არა
 განვრცნეს გული შენი ნუ უკუტ დაივიწყო უფალი ღმერთი შენი
 რომელმან გამოგიუენა შენ ქქტყანით ეგჯჯტით, სახლისა მისგან
 ივ კირთებისა ❖ ⁴⁾ უფლისა ღუთისა შენისა კემინოდენ, ღ მას მსო-
 ლოსა მისასურებდე, ღ მას მსოლოსა შეეგო ღ სახელსა მისსა ჭფუ-
 იდ ცვდე ❖ არა შეუდგე შენ ჭქუენასა ღმერთთა უცხოთასა, კერზთა წარ-
 იე მართთასა, რომელნი იგი კარემოს იეუნენ თქქტყნსა ❖ რამეთუ

1) მოსე გ. მარკოზ ბ. — 2) ღუგა ი. — 3) ქქტმორ. ია. ფს. აღმუნი ო. მ.
 — 4) ქქტმორ. ი. ა მეფე ზ. მათე დ. ღუგა დ.

ღმერთი მოჰურნე არს ღ უფალმან ღმერთმან შური შენი იძიოს
 შენგან, ნუ უკუტ ცანრისსნეს უფალი ღმერთი შენ სედა, ღ მოკპოს
 ზირისაგან ქუტყანისა * ¹⁾ არა განსცადო უფალი ღმერთი შენი, ვი-
 თარცა იგი განსცადეთ დღეს მას განცდისასა * დამარსვით დაიმარსნეთ
 მცნებანი უფლისა ღუთისა თქუტწნისანი, წამებანი მისნი, ღ სამარ-
 თალნი მისნი, რომელ იგი გამცნო შენ * ჰყო შენ კეთილი ღ სა-
 თნობა წინაჲ უფლისა ღუთისა შენისა, რათა კეთილი გეყოს შენ,
 ღ შესჯე ღ დაიმკვდრო ქუტყანა იგი კეთილი, რომელსა იგი
 ეუწყა უფალი მამათა მათ შენთა * განდევნად მტერთა ამათ შენთა
 ზირისაგან შენისა, ვითარცა იტყოდა უფალი * იუოს რაჲამს კეთ-
 სვიდენ შენ შვილნი შენნი სვალე ღ სეკე ღ გრქენა: რაჲ არიან
 წამებანი ღ სამართალნი ღ მძჯავრნი, რომელ ეკე გამცნო შენ უფა-
 ღმან ღმერთმან შენმან * მიუკო შენ შეილთა მათ შენთა: ღ ჰრქედა
 კირთებულ ვიუტწნით ჩუტწ ფაროსა ქუტყანასა ეკვპტეს, ღ გა-
 მოკვუტანა ჩუტწ უფალმან ღმერთმან ეკვპტით, კელითა მტკიცე-
 თა, ღ მკლავითა მსლლითა * ღ ეოჲ უფალმან ნიშები ღ სასწაულე-
 ბი დიდ დიდები ღ ბორორტები ეკვპტესა შინა ფაროს სედა, ღ
 ეოველს სახლსა მისსა, ღ მალსა მისსა სედა წინაჲ თუჲალთა ჩუტწ-
 თა * ღ ჩუტწ გამომიუტანა უფალმან ღმერთმან ჩუტწმან მიერ,
 რათა შექომიუტანეს ღ მომცეს ჩუტწ ქუტყანა უსე, რომელ ალუთ-
 ქუა მიცემად უფალმან ღმერთმან ჩუტწმან მამათა ჩუტწთა * ღ მამ-
 ცნო ჩუტწ უფალმან ეოფად ეოველთა მათ საქართალთა მისთა, ღ
 რათა კუტწშინოდის უფლისა ღუთისა ჩუტწისა, ღ კეთილი გვეოს
 ჩუტწ ეოველთა დღეთა, ცხოვრებისა ჩუტწისათა ღ ვსცხონდეთ, ვი-
 თარცა ესე დღეს დღე * ღ შეწუალებულ ვიუენეთ, ღ თუ ვიცუნეთ
 ეოფად ეოველნი მცნებანი ღ მჯუენნი მისნი, წინაჲ უფლისა ღუ-
 თისა ჩუტწისა, ვითარ იგი მამცნო ჩუტწ.

იგ
 იბ
 იტ
 ით
 ბ
 კ
 ბ
 ბ
 ბ
 ბ
 ბ

თ ა ვ ი ზ.

²⁾ რაჲამს უკუტ შევიუტანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან
 ქუტყანასა მას, რომელსა შესვალთ დამკვდრებად მუნ, ღ ³⁾ შეპურ-

¹⁾ ბ. მოსე იფ. დ მოსე კა. მათე დ. ლუკა დ. — ²⁾ ფსალმუნი რე. — ³⁾ ქუტწ. ია.

ნეს ნათესავნი იგი დიდნი და მრავალნი ჰირისაგან შენისა, ქეტელი
 იგი, კერკესეველი, ამორეველი იგი, და ქანანელი, და ფერეხელი
 იგი, და ეველი, და იობოსელი იგი, შუდი იგი ნათესავი დიდ დიდი
 და მრავალნი, და უძლიერესი თქუენსა და ¹⁾ მოცენეს შენ უფალმან
 ღმერთმან კელთა შენთა, და სცნე შენ ივინი, და მოსრვით მოსრენე; ²⁾
 არა აღუთქუა აღთქმა შენი მათთანა, არცა შეიწყალნე ივინი და არ-
 ცა ემზასლო მათ, ასული შენი არა მისცე მათ მესა მისსა, და ასუ-
 ლი მისი არა მოჰკუთრო მესა შენსა და რამეთუ განდრიკოს მე იგი
 შენი ჩემგან, და ამსახუროს იგი ღმერთთა უცხოთა, და განრისხნეს
 გულის წურომითა უფალი შენ ზედა, და აღგოცოს მსთვით და არა-
 მედ ესრეთ უერთ თქუენ მათ: ბავინები მათი დაბავუთ, ძეგლები
 დაბუსროთ, კრეტსაბმელი კერავები მათი დაჰკაფუთ, ძეგლები მათი
 დაწუთ. ცეცხლითა და რამეთუ ³⁾ ერთი ეკე წმიდაჲ ხართ, უფლისა
 ღმერთისა შენისა, და შენ ჰირველად გამოკირჩია უფალმან ღმერთმან
 შენმან, რათა იყო შენ მისა ერთად საზეპიროდ, ეოველთა უფროს
 ნათესავთა რომელნი არიან ჰირსა ზედა ქუენისასა და და არა თუ
 სიმრავლისა თქუენისათუხს, რამეთუ უფროს ხართ ეოველთა წარ-
 მართთა, შევიწყნარა თქუენ უფალმან, და გამოკირჩინა თქუენ
 უფალმან, რამეთუ თქუენ უძვირეს ხართ ეოველთა ნათესავთა და
 არამედ რამეთუ უუჭრდით თქუენ უფალსა, დაბტკიცა ფიცი იგი
 რომელ ეფუცა მამათა მათ თქუენთა, და გამოკიუენნა უფალმან
 თქუენ კელითა მტკიცითა, და მკლავითა მადლითა, და გიგნა შენ
 სახლისა მისგან კირთებისა, კელთაგან ფარაო მეფისათა მეკუპტელ-
 თასა და ⁴⁾ რათა გულის კმა ჰყო, რამეთუ უფალი ღმერთი შენი,
 ესე არს ღმერთი, ღმერთი სარწმუნო, რომელმან დაუძარსის აღ-
 თქმა მისი, და წუალობა მისი მოუჭარეთა მისთა, და რომელთა და-
 ცუნინან მცნებანი მისნი, ვიდრე ათასამდე ნათესავად და და შიაკის ჰი-
 რის ჰირ მისაგებელი და მოსურვა მოძულეთა მისთა, და არა აყო-
 ნის მოძულეთა, ჰირსა მიგებად მათთა და დაიცუნე შენ მცნებანი
 მისნი, და სამართალნი და მძვავრნი რომელსა ესე მე კამცნებ შენ

1) და მოსე კვ. — 2) ბ მოსე კვ და ლ. — 3) ქუენმოარ. იდ და კვ. — 4) იოანე ზ.

დღეს დღე ეოფად მისა ზ ბ იეოს რაჟამს ისმინეთ თქუტნ ეოფე-
 ლნი ესე, სამართალნი ჩემნი, დაიცუნეთ ბ ჰეოთ იგი, ბ მოცესს
 შენ უფალმან ღმერთმან შენმან, აღთქმა იგი ბ წეალობა, ვითარცა
 იგი ეფუცა მამათა მათ თქუტნთა ზ ბ შეკვიუროს შენ ბ კაკურ-
 თხოს შენ, ბ განკამრავლოს შენ, აკურთხეს ნაშობნი მუცლისა
 შენისანი, ბ ნაყოფი ქუტუანისა შენისა: იყელი იგი შენი, ბ ღუ-
 ნო შენი, ბ ზეთი შენი, ზროსანი სამროწლისა შენისანი ბ არეუბი
 ცხოვართა შენთანი ქუტუანასა ზედა, რომელ იგი ეფუცა უფალი
 მამათა მათ შენთა მიცემად შენდა ზ ბ კურთხეულ იუო შენ ეოფე-
 ლთა უფროს ნათესავთა: ¹⁾ არა იპოოს ნათესავსა შენსა შორის
 უძკვდრო არცა უნაყოფო არცა უზეუბი საცხოვარსა შენსა შორის ზ
 ბ განგაშოროს უფალმან ღმერთმან შენგან ეოფელი იგი სენი ბ
 საღმობა ბოროტი მეკვტელთა, რომელ იგი ისილე, ბ უწეოდე
 არა მთავლინოს იგი შენ ზედა, არამედ მთავლინოს იგი ეოფელთა
 ზედა მტერთა შენთა ზ ბ შუამდე შენ ნატეუტნავსა მას წარმართთა-
